განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: 1990-1991 წლებში დამუშავდა საქართველოში დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რომლის შემუშავებაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი (გერმანელი) ექსპერტები. აღნიშნული სქემა ითვალისწინებდა დაცული ტერიტორიების დაარსებას საქართველოს შემდეგ რეგიონებში: კოლხეთის დაბლობი, ცენტრალური კავკასიონი, ფშავ-ხევსურეთ-თუშეთი, მთიანი კახეთი, ივრის ზეგანი, ბორჯომი და აჭარა-გურია-იმერეთი. დღეის მდგომარეობით დაარსებულია „კოლხეთის ეროვნული პარკი“, „ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი“, „თუშეთის ეროვნული პარკი“, „ვაშლოვანის ეროვნული პარკი“, „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი“. დარჩენილია ეროვნული პარკის დაარსება ცენტრალურ კავკასიონზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2016-2017 წლებში, გერმანიის მთავრობის (BMZ) დაფინანსებით და მსოფლიო ბუნების ფონდის (WWF) ტექნიკური ხელშეწყობით, ჩატარდა დეტალური კვლევები ბიომრავალფეროვნების (ფლორა, ფაუნა, ეკოსისტემები) და სოციალურ-კულტურული ასპექტების მიმართულებით, ცენტრალური კავკასიონის ნაწილში, რაჭის დაცული ტერიტორიების დაარსების მიზნით. გაანალიზდა რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნის დადებით მხარეები, მათ შორის საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის და ეკო-დერეფნების განვითარების კონტექსტში.

აღნიშნული კვლევების მიხედვით, რაჭის დაცული ტერიტორიებისთვის გათვალისწინებული ტერიტორია მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტში. დაცული ტერიტორიების ტერიტორიის საზღვარი ნაწილობრივ მიუყვება ონის სატყეო მეურნეობის უწერის, შოვის, ჭიორის და ღების სატყეოების კვარტლების საზღვრებს და ნაწილობრივ გეოგრაფიული ლანდშაფტების ელემენტებს. ძირითად ლანდშაფტს წარმოადგენს ფოთლოვანი და შერეული ტყე, ასევე გვხვდება მთლიანად წიწვოვანი კორომები ან შერეული ტყეები წიწვოვანი ტყეების უპირატესობით. ჩამოყალიბებულია სუბალპური და ალპური მდელოები. რაჭაში არის სუბნივალური და ნივალური სარტყელებიც, მუდმივი თოვლითა და მცირე ზომის მყინვარებით. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კარგადაა გამოხატული ტყის სუბ-ალპური, ალპური, სუბნივალური და ნივალური სიმაღლებრივი სარტყლები. ტყის სარტყელში განვითარებულია შერეული ფართოფოთლოვანი და მუხნარი ტყეები ზ.დ. 1000-1200 მ. სიმაღლეზე. საკმაოდ მრავალფეროვანია ფოთლოვანი ტყეების დაცული ტერიტორიების ტერიტორიაზე გამოვლენილი საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ხე-მცენარეთა შემდეგი სახეობები: ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa* Mill (VU); კოლხური ბზა (*Buxus colchica* Pojark (VU); მაღალმთის მუხა (*Quercus macranthera* Fisch et Mey (VU)); უთხოვარი (*Taxus baccata* L (VU); შიშველი თელადუმა (*Ulmus glabra* Huds (VU); კაკლის ხე (*Juglans regia* L (VU).

ტყის მცენარეულობა საგრძნობლად იცვლება ზღვის დონიდან სიმაღლის მატებასთან ერთად. სუბალპურ სარტყელში ტყეები 2200-2400 მ სიმაღლეზე მხოლოდ ფრაგმენტულად გვხვდება და ქმნის პატარ-პატარა კორომებს. გამოკვლევების მიხედვით, რაჭის მაღალი მთის (ზ.დ. 1900-2500 მ სიმაღლეები) დენდროფლორის სიმდიდრე შეადგენს 32 სახეობას, რომლებიც გაერთიანებულია 11 ოჯახსა და 17 გვარში. რაჭის კავკასიონის ფარგლებში განსაკუთრებული ფლორისტული სიმდიდრით გამოირჩევა სუბალპური და ალპური მეზოფილური ნაირბალახოვანი მდელოები. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ზოგიერთი სახეობა ამავდროულად კავკასიის ენდემიცაა და მოითხოვს განსაკუთრებულ კონსერვაციას. ასევე, მოცემულ ტერიტორიაზე იდენტიფიცირებულია საქართველოს წითელი ნუსხის ცხოველთა სახეობებისთვის საკვანძო ტერიტორიები და ამ სახეობების შენარჩუნებისთვის არსებული საფრთხეები, კერძოდ, ეს სახეობებია: მდინარის კალმახი (Salmo fario Linnaeus), აჭარული ხვლიკი (Darevskia mixta), დინიკის გველგესლა (Vipera dinniki Nikolskii), კავკასიური გველგესლა (Vipera kaznakovi Nikolskii), სამხრეთული ცხვირნალა

(Rhinolophus euryale), ევროპული მაჩქათელა (Barbastella barbastellus Schreber), წავი (Lutra lutra), დათვი (Ursus arctos Linnaeus), ფოცხვერი (Lynx lynx), კავკასიური ციყვი (Sciurus anomalus Gmelin), ქლუხორული თაგვანა (Sicista kluchorica Sokolov), პრომეთეს მემინდვრია (Prometheomys schaposchnikovi Satunin), დასავლეთკავკასიური ჯიხვი (Capra caucasica Guldenstaedt and Pallas), არჩვი (Rupicapra rupicapra), ორბი (Gyps fulvus), ბატკანძერი (კრავიჭამია) (Gypaetus barbatus), მთის არწივი (Aquila chrysaetos), კავკასიური როჭო (Lirurus mlocosiewiczi), წითელმუცელა ბოლოცეცხლა (Phoenicurus erythrogaster), დიდი კოჭობა (Carpodacus rubicilla), ყარყატი (Ciconia nigra).

რაჭის დაცული ტერიტორიების დაარსება ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას, „ეკო-დერეფნების“ ქსელის გაფართოებას, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას და დასაქმებას ტურისტულ სერვისებში. აგრეთვე მხედველობაშია მისაღები, რომ ეკონომიკური ზრდის პირობებში სწორედ დაცულმა ტერიტორიებმა უნდა უზრუნველყონ საქართველოს გამორჩეული ბუნებრივი მრავალფეროვნებისა და მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება. შესაბამისად, ამ თვალსაზრისითაც, ბუნებრივი ტერიტორიების ტრანსფორმაციის შეჩერების, მათი სამეურნეო ზეწოლისაგან დაცვის მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებასა და არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოებას.

რაჭის დაცული ტერიტორიებისთვის განსაზღვრული ტერიტორია აკმაყოფილებს როგორც „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის (ეროვნული პარკი) და მე-9 (მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია) განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასევე, ეხმიანება ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ საერთაშორისო კონვენციასთან (CBD - Convention on Biological Diversity; საქართველო მხარეა 1994 წლიდან), სახელდობრ, მისი ახალი სტრატეგიის (აიჩი 2020) მე-11 სტრატეგიულ მიზანსაც, რომელიც ადგენს, რომ „2020 წლისთვის, ხმელეთისა და შიდა წყლების ფართობის, სულ მცირე, 17% და სანაპიროსა და საზღვაო ფართობის 10%, განსაკუთრებით ის ტერიტორიები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების თვალსაზრისით, მოქცეული იქნას დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად, საქართველოში დაცული ტერიტორიების შექმნის, ტერიტორიული გაფართოებისა და დაცვითი კატეგორიის ამაღლების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი. შესაბამისად, ახალი დაცული ტერიტორიის დასაარსებლად საჭიროა მიღებული იქნეს შესაბამისი კანონი.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად, რაჭაში, ონის მუნიციპალიტეტში შეიქმნება ახალი დაცული ტერიტორია - რაჭის დაცული ტერიტორიები (რომელშიც შევა დაცული ტერიტორიების ორი კატეგორია: რაჭის ეროვნული პარკი და რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (ე.წ. დამხმარე ზონა).

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი შედგება 8 მუხლისგან. პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო. მე-2 მუხლით განსაზღვრულია კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მე-3 მუხლით განისაზღვრება რაჭის დაცული ტერიტორიების კატეგორიები - რაჭის ეროვნული პარკი და რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა). მე-4 მუხლში დადგენილია რაჭის ეროვნული პარკის მდებარეობა და ფართობი (50835 ჰექტარი), საზღვრები და ის ტერიტორიები, რომლებიც უნდა გადაეცეს დაცულ ტერიტორიებს. მე-5 მუხლით განსაზღვრულია რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაში (დამხმარე ზონა) შემავალი სოფლები: უწერა, გლოლა, ჭიორა, ღები, პატარა ღები, გონა (აქვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტებისთვის რაიმე სახის ვალდებულებების დაკისრებას ან მათი უფლებამოსილების შეზღუდვას. მუნიციპალიტეტები ისარგებლებენ ყველა იმ ბენეფიტით, რაც მოყვება ტერიტორიაზე დაცული ტერიტორიების დაარსებას და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას). მე-6 მუხლით რეგულირდება რაჭის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვის საკითხი, დაცვისა და გამოყენების რეჟიმი, მათ შორის, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში საქმიანობის განხორციელების წესი. მე-7 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის

ამოქმედებამდე, დაცული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ სასარგებლო წიაღისეულით და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე. მე-8 მუხლით დადგენილია კანონის ძალაში შესვლის თარიღი - 2023 წლის 1 იანვარი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტი შეესაბამება 2021-2024 წლების სამთავრობო პროგრამას „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ (პროგრამის 2.12 ქვეთავის (გარემოს დაცვა) მიხედვით, „დაგეგმილია ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორიის გაფართოება (სულ, დაახლოებით, 185000 ჰა). შეიქმნება ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა“).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ძალაში შესვლა გათვალისწინებულია 2023 წლის 1 იანვრიდან, ვინაიდან, იგი დაკავშირებულია ახალ საბიუჯეტო წელთან. კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული კანონისათვის უკუძალის მინიჭება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი (სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის გამოყოფილი ასიგნებები) და დონორი ორგანიზაცია (გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW)). კერძოდ, 2023 წელს საჭირო იქნება დაახლოებით 1 156 400 ლარი საიდანაც 356,400 ლარი (შრომის ანაზრაურება) გამოყოფილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 800,000 ლარი კი დონორი ორგანიზაციის მიერ. 2024-2026 წლებში ჯამურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი მინიმალური თანხაა იქნება1,069,200 ლარი (შრომის ანაზღაურება), ხოლო სხვა საჭირო ხარჯების დაფინანსება მოხდება დონორი ორგანიზაციის მიერ.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრეაციული პოტენციალის სრულად გამოყენებას, რაც თავის მხრივ, რაციონალური დაგეგმვისა და მართვის პირობებში უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღების წყაროდ შეიძლება იქცეს, როგორც საბიუჯეტო შემოსავლების, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდის კუთხითაც. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გაიზრდება დაცული ტერიტორიის 27 ახალი თანამშრომლის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადით (წელიწადში დაახლოებით 69 854.4 ლარი 356 400 ლარიდან (სახელფასო ფონდი)). ამასთან, სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე დადებითად აისახება ის გარემოებაც, რომ დაცულ ტერიტორიებზე არ გავრცელდება დაცული ტერიტორიის შექმნიდან გამომდინარე შეზღუდვები ამ კანონის ამოქმედებამადე არსებულ ქონებრივ, წიაღით სარგებლობის და „ნავთობისა და გაზის ოპერაციებით“ გათვალისწინებულ ურთიერთობებზე.

ასევე დონორი ორგანიზაციის მიერ 2023 წელს უნდა მოხდეს დაახლოებით 800 000 ლარის გამოყოფა მიზნობრივი გრანტის სახით, რომლის ასახვაც მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

2023 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნას 356,400 ლარი. რაჭის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ბიუჯეტის თანხები განაწილდება შემდეგი პროპორციით (ცხრილი): აღსანიშნავია, რომ რაჭის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში დასაქმდება 27 მოქალაქე (ძირითადად ადგილობრივი მოსახლე). დირექტორი, დაცვის უფროსი, 4 უბნის უფროსი რეინჯერი, 17 რეინჯერი, 1 ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი, 1 ბუღალტერი, 1 ვიზიტორთა სპეციალისტი.

ცხრილი

№	**თანამდებობა**	**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო (ლარი)**	**სულ წლის განმავლობაში (ლარი)**
1	დირექტორი	1	2420	29 040
2	დაცვის განყოფილების უფროსი	1	1650	19 800
3	ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი	1	1540	18 480
4	ბუღალტერი	1	880	10 560
5	ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი	1	990	11 880
6	ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი	1	990	11 880
7	უბნის უფროსი რეინჯერი	4	1100	52 800
8	რეინჯერი	17	990	201 960
		სულ		**356 400**

ამასთან, ყოველწლიური გადასახდელები (მ.შ. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები) დაფინანსდება როგორც სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან (საკუთარი შემოსავლებიდან) ასევე დონორებიდან მოძიებული სახსრებით (იხილეთ ქვემოთ არსებული ცხრილი). ამასთან აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 21 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკმა (KfW) ხელი მოაწერეს საგრანტო ხელშეკრულებას ,,ბიომრავალფეროვნება და მდგრადი ადგილობრივი განვითარება საქართველოში“, რომლის საფუძველზეც ქვეყანა 24 მლნ ევრომდე მოცულობის გრანტს მიიღებს. აღნიშნული გრანტის ნაწილი მოხმარდება რაჭის დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებას, ადმინისტრაციების აღჭურვას და განვითარებას.

სხვა გადასახდელები (2023 წლის მოსალოდნელი გადასახდელები)	**ლარი**
სულ	**800 000**

საქონელი და მომსახურება (ზამთარ-ზაფხულის უნიფორმა, ზამთარ-ზაფხულის ფეხსაცმელი, ცეცხლსასროლი იარაღი, და სხვა სპეციფიკური აღჭურვილობა)	300 000
კაპიტალური ხარჯი (ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა, ა/მანქანის შეძენა)	500 000

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდბეულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას არ ითვალისწინებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტი იქონიებს პირდაპირი ფინანსურ გავლენას იმ 27 პირის მიმართ, რომლებიც დასაქმდებიან რაჭის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ამ კანონით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების მართვის მიზნით. ამასთან, კანონპროექტის მიღება დადებით გავლენას იქონიებს იმ პირთა საშემოსავლო ნაწილზეც, რომლებიც საქმიანობას განახორციელებენ ამ ტერიტორიაზე, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეკრეაციული პოტენციალის სრულად გამოყენებას. ასევე ამ კანონის მოქმედება არ გავრცელდება კანონის ამოქმედებამდე, დაცული ტერიტორიის საზღვრებში არსებულ სასარგებლო წიაღისეულით და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროეტის გავლენის შეფასება; კანონპროექტი არ იქონიებს გავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადების პროცესში ჩართული იყო ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის პროგრამის ოფისი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცული ტერიტორიების სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.